

# სოფორი გეორგიევის საუკუნის ქართველ სახიდვები

(თეატრისცოდნისათვი ქიანი)

## დიმიტრი ჯავალიძე

მოდგენის პრიმდედებას ვეხები. ეს პრი-  
მდება გიორგი ერისთავმა წარმოშორა. რო-  
ცა მან აღადგინა ეროვნული პრიფესიუ-  
ლი თეატრი, როგორც პოეტ-დრამა-  
ტურგს შეფერიდა, მეტაფორა იძმარა  
და განაცხადა: „ის დაკარგული მეცნი-  
ეარს კელავი აღმოგვიცენდა“. ეს პრიმ-  
დება, მარტივი ენით, იმავე დროს გა-  
მოხატა დიმიტრი ყიფანძმა: „მნელდ და-  
საჯერებელია, რომ ქართველებს, რო-  
მელნიც თავის ენისათვის ითვისებდნენ  
სანსკრიტულ და ბერძნულ ფორმებს და  
იცნობდნენ ამ ენაზე შექმნილ მწერლო-  
ბას, არ გაძმოელოთ მათგან დრამატურ-  
გიული ფორმებიც და არ შეეტანათ თა-  
ვის მწერლობაში, თუ განდ თარგმნილი  
პიესები“ (გამ. „კავკაზი“, 1854. № 37).

გ. ერისთავის პოეტური წარმოხახ-  
ვის და დიმიტრი ყიფანძის დასაშვები  
ეჭვების გზა-კვალს შეუძლი; აღმძ-  
რის ცოდნის შოთხმიბი მეჩხიერება;  
გროვდება ძველი ბერძნული ტრაგედიე-  
ბის საქართველოში განხორციელების პრიმდედებათან მეტანაკლებად დაკავში-  
რებული უაქტები, არამირდაბრი, ირა-  
ბად და ცერად ნათევაბის მინიშნებანი,  
ტარდება ძარი სისტემატიზაცია, დრო-  
სა და „სივრცის დაუნარებით“ პარალე-  
ლების, ანდოციების შერჩევა; შემდეგ  
ყოველივე ამის შეჯერება, შემთხვება.  
მიხედრით აღმაგოდ-დამზადად და-  
ჭკება: დარწმუნების, ჭიჭმანის, ტანჯვის  
გზაც უნდა მოვლოთ, რომ დასაშვები  
რამ გამოიკვეთოს. ცხადია, ეს ვრც  
დაგვაქმაყოფილებს კურც აბაზე შევ-

ჩერდებით—ძიება, აწონ-დაწონა გრძელ-  
დება. პოეტის თქმისა არ იყოს—„ფრთვე-  
ბი ურთები გინდა, კადევ ფრთები  
გინდა“, რომ ფანტაზიითაც გავცდეთ  
ცნობილის საზღვრებს და კოვლად მა-  
შველმა ინტუიციამ შევვაძლებითს ვა-  
რაუდი გარკვევით გამოივთქვა, პიმო-  
თხა შეიქმნას, რაც დაუცხრომელ ფიქ-  
რებში დღე-ღამის გასწორებას ითხოვს,  
რათა დაუჯერებელი რამ სარწმუნოდ  
იქცეს. ჩემი პიმოთურა შეიძლება დადას-  
ტურდეს, შეხაძლოთ უარყოფილ იქნეს,  
მაგრამ, ვფიქრობ, რომ ვარაუდთა შეუ-  
გდების შემთხვევაშიც ვა, სარგებლობა  
შეიძლება მოიტანოს, რამდენადც სა-  
კითხის კვლევას კარი ეჩსნება, ნიადაგი  
უჩნდება და საგნის შემუცნებაში შევა-  
ვთ.

სოფოკლე საქართველოში. ანტიკუ-  
რის რეაბილიტაციის პირობებში, ჩან-  
რებაბის მიერ სოფოკლეს ხსენება, სრუ-  
ლიადაც არ უნდა იყოს შემთხვევითი,  
ისტორიულ უცილებლობას აცილებუ-  
ლი, იჩქითად წამისრილი სახელი.  
ამ დროს ჩვეულებად არის ქცევა მი-  
თოლოგიური თუ ისტორიული ძველ-  
ბერძნული პერსონაჟების სისტემატური  
მოხმობა, კველა დარგისა და უანის  
ნაწარმოებში. „ისტორიანი და აზმანის“  
ავტორის მიერ თამარ მეცე მკალებრძნუ-  
ლი ღმერთების მოხმობით არის დახა-  
სიათებული: „შეუნებითა მით აფრიდი-  
ტიანითა და სიუხვითა მით მშეგნოთა  
აპოლონიანითა“ (ქართლის ცხოვრება,



ტრაგედიის ქერიორი (გვიანი რომაული ხანის ქანდაკება სპილოს ძვლისაგან)

ტ. II, გვ. 32). ამავე ისტორიკოსის თქმით, თამარ მეფის შექება შეუცრის ჰომეროსს („შემსხმელად ხამს ომიროს“, გვ. 2). ამიტომაც არის სრულიად გასაბები ჩახრუხაძის მიერ სოფოკლეს ხეები.

შეა საუკუნეთა საქართველოში ამ „ელინისტიულობას“ თავის ძირფეხსი ექნება. კოლხეთის, ქართლის და ქართველებით დასახლებულ პონტოს სამეფოთა ქალაქებში მიერ სოფოკლეს ტრაგედიის ბეჭოება, რომ იქ ბერძნი ტრაგიკოსებიდან სოფოკლეს ტრაგედიებიც იდგმებოდა. აგრ ღუგიანე სამოსატელი (დაახლ. ახ. წ. 120-190) გვამცნობს, რომ პონტოს სამეფოთ „ადგილობრივი მცხოვრ აღები ივიწყებდნენ ყველა სხვა

საქმეს და მთელი დღეები თუმცა მცხოვრები ისხდნენ და უცხროდნენ ტოტანებს, კორიბანტებს, სატირებს და მწევემსებს“ (თხ. (რუსულ ენაზე), მ.-ლ. ტ. II, ცეკვის ხელოვნება, 79). გავისხეს ესით, აკად. ბ. ბელიქემვილი ვარაუდობს, რომ ქართლის სამეფოში აღმართ წარმოადგენდნენ ელინელ და იქნებ ადგილობრივი აკტორების პიესებს („საქართველოს ძველი ისტორიის საკითხები“, 1959, გვ. 47).

შეა საუკუნეთა ხანაში ქართველობა კი არ იწყებდა, არამედ აღადგნენდა და განაგრძობდა სოფოკლეს შემოქმედებასთან ნაცნობობას. მეთორმეტე საუკუნის დასაწყისში, ფილოსოფოსმა, გალობათმეტყველმა და მთარგმნელმა არსენ იყალთოელმა თარგმანა ბერძნულიდან გიორგი მონაზონის (მსოფლიო ისტორია) „ხრონოლრაფი“, რომელშიაც იკითხება ძველი ბერძნული კულტურის მრავალ მოღვაწეთა სახელი და საქმე, და მათ შორის, სოფოკლე და ევრიპიდე (ს. გაუხიმშვილის გამოც. 1920, გვ. 140).

თვით ჩახრუხაძის „თამარიანს“ თუ გადავხედავთ, ელინური სახელი გეხვდება 35-ჯერ, ზოგი მათგანი რამდენჯერმე: ათინა, არისტოტელი, აქილევსი, ელადა, ელენა, კრონისი, მლატონი, რეა, სელონი, სოგრატი, ზეგესი, სოფოკლე, ტროელი, პომეროსი, მლატონი, აქილევსი — ხუთ-ხუთჯერ. ეს მცარე სტატისტიკური გამოთვლა წარმოდგენას გვიქმნის, თუ რა ფართო საბირეულს მოიცავდა დამარის ეპოქაში ელინური ტრადიციების აღდგენა. საყურადღებოა, რომ ქართველთა მონასტერის მთაწმინდაზე (ათონში), თავის წიგნთსაცავში ქინდათ სოფოკლეს ტრაგედიები: „აინტი“, „ელექტრა“, „ოიდიპოს მეფე“ — ავტორის ბიოგრაფიით, ამასთანავე ესქილება, ევრიპიდეს ტრაგედიები და არისტოფანეს კომედია (ს. ბელოკუროვი, არსენი სოფხანოვ (რუსულ ენაზე), მ. 1891, ნაწ. I. გვ. 13,369,373,389).

პროფ. გრიგოლ წერეთელი აღნიშნავდა, რომ ბიზანტიის ხანის სკოლებში ბერძნულ ტრაგედიებს ახწავლიდნენ. უნდა ვითქმიროთ, რომ სოფოკლეს ტრაგედიებს ახწავლიდნენ ათონის ქართულ

სემინარიაშიც. (გრ. Ερήμητεροι, δέρν-  
ხελο ὅποις τάχιστοις οἰστονιαδ., ტ. II.)

ისევე ოორორც ბიზანტიაში, საქარ-  
თველოშიც ფილისოფიურ და ოიტო-  
რიგულ სკოლებში, გვლათის და იყალ-  
თოს აქალემიერში, აღბათ, მხაგრებად ბი-  
ზანტიისა, ტარდებოდა ოეპტრალური შე-  
ჯიბრებანი, სწავლის ქურსის დამთავრე-  
ბისას იმართებოდა ოარმოდეგნები, ქა-  
ლაქებს გააჩნდათ საკუთარი ოატრეგი (ვ.  
ესვოლოდსკი-გრენდორის, ოუ-  
ხელი ოატრის ისტორია, მ. 1929, ტ. I.  
გვ. 212). რომ უფრო ნათელი გახდეს  
ჩახრუხაძის მიერ სიტყვალეს მოხმო-  
ბის მნიშვნელობა, მიემართოთ ქართუ-  
ლი ხალხური ქულტურის წიაღა.

ხალხურ ხახახაობათა რეალიები და  
ტერმინები.

აკად. ნ. მარი, ოურქეთის ხახლვრე-  
ბში მოქცეულ ქართველურ მხარეში  
მოგზაურობის აღწერილობაში გვამც-  
ნობს, რომ იქ ორ მწყობრად გაყოფილ  
ჩაუფრ ცეკვებს, საეჭხარომტო ლექ-  
სებს ხიმდერებით, მირეული ჭანური  
ტერმინით, ეწოდება ობირუ, ხოლო ნა-  
ხესხებით ო-ტრალოდუ. ქალთა ახეთი-  
ვი უერხულ უწოდებენ – ტრალოდუ-  
შან-ხ. მეორე ჭანური ტერმინი ო-ხო-  
რონე (ცეკვა) აგრეთვე მომდინარეობს  
ბერძნულიდან (ნ. მარი, ოურქეთის ლა-  
ზისტანში მოგზაურობიდან (რუსულ  
ენაზე), პეტერბურგი, 1910). ნ. მარმა კი  
აღნიშნა, რომ ეს ტერმინები ნახესხებია,  
მაგრამ რა მნიშვნელობას ანიჭებენ ამ  
სიტყვებს ო-თავსართი და მან-ბოლო-  
სართი, ამაზე არაფერი იყო თქმული.

ქართველ ენათმეცნიერთა გამოკვლე-  
ვებშე დაყრდნობით, ჭანურ-მეგრული  
„ო“ თავსართი შეესატყვისება ქართულ  
„სა“ თავსართს. მაგალითად: ო-ჯემალე-  
ვ (სა-მარილე), ო-ცხენ-ე (სა-ცხენე,  
თავლა), ო-ხამე (სა-ლოცავი) (ვ. თო-  
ფერია, შრომები, თბ., 1979, ტ. III. გვ.  
94). ამისდა მიხედვით ო-ტრალოდუ ნი-  
შნავს ხატრაგედიანს. ახლა ვიკიოთხოთ  
რას უნდა ნიშნავდეს ჭანური ქალთა  
უერხულის სახელი „ტრალოდუ-მან“?  
ჭანური „მან“ ნაცვალსახელია და ქარ-  
თულ „მენას“ შეესატყვისება (გავიხსე-  
ნოთ იღვა ჭავჭავაძის სცენებიდან: „მე-

ნა მენი ჭირიძე გლახა ჭრიამვილი ქა-  
ნდავარო“). ი. ყიფშიძეს აღნიშნული იმ-  
აქებს, რომ „მან“ ნიშნავს „მე“-ს. ამისდა  
მიხედვით „ტრალოდუ-მან“ უნდა ნიშ-  
ნავდეს „ტრაგედია-მენა“ (ტრაგედია-  
მე), ვ. ა. მე (ფერხული) ტრა-  
გედია (ტრაგედიას) ვარ. ჭანური  
ვაჟთა და ქალთა უერხულები „ო-  
ტრალოდუ“ და „ტრალოდუ-მან“ ერ-  
თი და იგივეს, „ხა-ტრაგედიას“ უნდა ნი-  
შნავდეს. არ შევცდებით ოუ ვატყვით,  
რომ ჭანური სიტყვების „ო-ტრალოდუს“  
და „ტრაგედუ-მანის“ აღმოჩნა, მათი  
მნიშვნელობის გახსნით – „ხატრაგე-  
დია“, ხაქართველოში ოატრის არქეო-

სოფოკლე (გვ. შ. IV ს. ქართველია ასლა)





თეატრალური ნილბები (ერმიტაჟის კოლექციიდან პეტერბურგი)

ლოგიური აღმოჩენის ტოლფახია, რაც თავისთავად გულისხმობს ხაქართველობის ხოფოკლეს ტრაგედიის წარმოდანახახაც. ტერმინი ხა-ტრაგედია (ოტრაგოლუ) ორგვარად შეიძლება აიხსნას:

ა). ძეველი ბერძნული ტრაგედიისათვის გმირსაყვენებელი ფერხული,  
 ბ). ძეველ ბერძნულ ტრაგედიაში მის ქორის ხაცვლად ჩართვული ჭანური (ქართველური), ფერხული. ასეთი ჩართვები რეალურად არსებობდა. მაგალითისათვის დავიძოწმებით პლუტარქეს ცნობას, ძ. წ. 53 წელს ხომხეთში მსახიობმა – აგასის როლის შემსრულებელმა, ევრიპიდეს ტრაგედიიდან „აკედელი ქალები“, ხაცვლად პანთევის თავისა, ხელთ აიღო და დაიჭირა ამ დროს დარბაზში შემოტანილი პართვებთან ომში დამარტებული რომაული სარდლის კრასის მრავეთიღით თავი და ასე განაგრძიო თავისი როლის შესრულებელი (პლუტარქე, კრასი 33; გრ. წერეული, ბერძნული დიტერატურის ისტორია, ტ. II, გვ. 307). ეს ჩართვა იმის დასტურად გამოდგება, რომ ძეველ ბერძნულ ტრაგედიაში მიღებული იყო წარმოდგენის თბადროული მიძინარე ვოთარების მშენებელი, აქტუალური მოტივის ჩართვა – ეს დავიძახსოვროთ, შემდეგ გამოგვადგება.

ტერმინები ქართვული დამწერლობი-

თი ძეგლებიდან. „მოხაწევართმეტვებედ უწოდებენ ტრაგიგულთა ფილოსოფოსთა... ვითარმედ მოიწის რაიო მოხაწევარი რაიმე უწევნები მანქანებით, ე. ი. არს დონისძიებით მთამოივანიან ღმერთები რაიმე და დახსნას მოწევნული, ვინამ იმსხვერპლეოდათ რამ იუიგენია მანქანებით მოყვანებულმან არტემი მისცა ირემი და აღტაცებული ეტლით განირინა“ (იოანე ქსიფილონის მეტაფრაზების ქართული თარგმანის (XII ს.) ხელით, ქ. პატელიძე, ეტიუდები, ტ. XI, გვ. 83; დ. ჯანელიძე, ხახიობა, წ. II, გვ. 130-135).

გლოვის მგრხანი – ტრაგიონი „ტრალედია არის ხატირალი ლექსის ქმნა, ანუ როკვანი, ანუ გლოვის მგრხანი“ (ვახუშტი ბატონიშვილი).

მანქანებით მოვანებული ღმერთი – შეეხატყვისება ლათინურს: დეუს ექს მახია.

წინაგანწმენდა, წინაგანხწავლა – კათარზისი. ეფრემ მცირის თარგმანში იკითხება: „მრავალ მოქმედთაგან კომედამსთა... წინაგანწმენდას და წინაგანხწავლას მიხვის“ (ხელნაწერთა ინსტიტუტის ა ფონდის № 110, გვ. 434).

ძნობა – ფერხული. ხოტბის ხახიობა მხიერი და ხაკრაგიერი მუსიკის როკვასთან შეწყვიობილი. შეეხატყვისება ძელბერძნულ თეატრალურ ტერმინს „ქორო“.

ძნობათმთხველი: „რომ სიტყვა მე-  
თხზეს მეფისა ძნობად“ (შავთელი).

ძნობარი — „მწყობრი“, „მემწყობ-  
რი“, მეფერხულე, მგალობელი, მრთკვე-  
ლი, სიმებიან საქარავშე დამკვრელი  
(ილია აბულაძე).

საჰია: „მეფე სამახა-მღერას იქმს  
მეტად მოილხინებდა“ (ვეტხისტყოსანი.  
3. ინგოროვებას გამოც. სტროფი 20).

მრგვალი — წილისებური ფერხული.  
მრგვალის მოვლელი, მეფერხულე;

ფერხისა — ორმწკრივი ფერხული.

სორუში — ფერხული (აჭარა), ქონ-  
ძელელა — ფერხული (ფშავი); ჭიშნაშ-  
(ხვანები), ჭიშხშე-ფერხულის (ხვანე-  
თი), ო-ხორონე-ფერხული (ჭანეთი),  
ძაჭრალე, ხუჯიში, ორსხაძური, ოხო-  
ხოია — ფერხული (ხამეგრელო).

მოქმედი (ტრაგედიის), მემღერე,  
მხანიობელი, მოთამაშე, მეხანი —  
აქტიორი.

ეს ტერმინები იმაზე მეტყველებენ,

რომ საქართველოში, ძველთაგან<sup>33</sup>,  
ტრაგედიის თეატრის კულტურა არ იქმნია  
ბობდა, შეა საუკუნეებში იგი შენარ-  
ჩუნებული, ანდა აღდგენილ იქნა, ყურა-  
დღებას იქცევს ტრაგიკოსის აღმნიშ-  
ვნელი თრი ტერმინის — „მოსწევართ-  
მეტყების“ და „გლოვის მგოსნის“ ხმა-  
რება. აյ სტადიალური განვითარების  
ასახვასთან ურთად, ქართული ესთეტი-  
კური აზროვნების თავისებურებაც ცხა-  
დება. მოსაწევართმეტყებედ რომ „ტრა-  
გიულთა ფილოსოფონი“ იწოდება, ეს  
რუსთაველის მიერ პოეზიის განსაზ-  
ღვრებას ეხმიანება: „შაირობა პირვე-  
ლადვე სიბრძნის არის ერთი დარგი“ და  
პროზის იგავარაკების საბასეული  
კრებულის დასახელებასაც „სიბრძნე  
სიცრუისა“ ეკილოგავება. ამისდა მი-  
ხედვით, გასაგები ხდება, რომ ჩახრუხა-  
ძე პოეტ-დრამატურგს სიუოკლეს (ტრა-  
გიულთა ფილოსოფონის), ფილოსო-  
ფონებთან გაწორნასწორებით უხმობს თა-

სატირთა დრამის ქორის სამზადისი (სწავლებით

ვარძიში). პომპეის მოზაიკა (ძვ. წ. II.)





ნიღაბი (დასაცულეთ საქართველო. ვანი,  
ელინისტური ხანა)

ვის ხოტბაში „თამარიანი“. როგორც აკად. შალვა წუცუბიძეს აქვს შეინშეული, ჩახრუხაძეს ოდებში პლატონთან არისტოტელეს უპირატესობა ენიჭება, „პლატონი არ დგას არისტოტელესზე მაღლა; უპირატესობა სრულიად გარჩევულად უკანასკნელს ეკუთვნის (შ.წუცუბიძე, ქართული ფილოსოფიის ისტორია, ტ: II, 1958, გვ. 162-165). ჩვენს განსახილველ მეთოთხმეტე ხოტბაში თამარის შესაქებად მოშმობილთა შორის უპირატესობა არისტოტელეს ეძღვევა და სოფოკლეს გვერდით პლატონის მოხსენება, აღბათ, უხერხულადაც კი მიაჩნდა ჩახრუხაძეს, რამდენადაც პლატონი, ერთგვარი მერყეობის მიუხედავად, თავის სახელმწიფოში არ ითმებდა პოეტებს, იქიდან მათ აძვევდა, დრამატულ ნაწარმოებებს ყველაზე ცუდ ფორმად – მიმაბველობით თხრობად მიიჩნევდა და ტრაგედიებს და კომედიებს უარყოფდა, დრამატურგებს ებრძოდა (ს. წერეოლი, ნარკევები ფილოსოფიის ისტორიაში, 1973, გვ. 381-384).

„მოსაწევართმეტყებე“ – კომპოზიტია, ორი სიტყვისაგან „მოსაწევარი“ და „მეტყებე“ შედგა; მოსაწევარი ის უძველერებაა, რაც ადამიანს ეწვევა, თავს დაატყება, ტყება – ამ უშველებელზე მოთქმა-ვაება. სოფოკლე მოსაწევართმეტყება, რამორითაც მისი ტრა-

გედიები მისი გმირების მოსაწევარზე გლოვის მგოხნობაა. ეს ქართული ტერმინი მინება ტრაგედიის წარმომავლობის გასარკევდაც საგულისხმოა, ამაზე სიტყვას არ გავაგრძელებ, ამის თაობაზე ცალკე ნარკევი მაქეს გამოქვეყნებული („სახიობა“, წ. III, ტრაგედიის ძეგლი ქართული განსაზღვრება, გვ. 230-135), მაგრამ ეს კი მაინც სათქმელია, რომ ეს ტერმინები თავის სიუჟეითაც და შინაარხობრივი სიღრმითაც მოწმობენ XI-XIII საუკუნეთა ქართული ესთეტიკური აზროვნების დაწინაურებას, მის მაღალ ღონებს. ასევე საფერხულო და სამსახიობო ხელოვნების ტერმინები უნდა მოწმობდეს ქართული ტრაგედიის თავარის XII საუკუნეში არსებობას, ტრაგედიის სახილველის რესტავრაციას და რეაბილიტაციას და ამის ნათელ შექმენების უნდა განისილებოდეს ჩახრუხაძის ხოტბაში სოფოკლეს მოხმობა.

ხოტბის პირველი ხამი ტაქპის განმარტების ცდა. ჩახრუხაძის მეთოთხმეტე სახოტბო ლექსის შესწავლითავის ნიადაგის შემთხვებისა და მისადგომ-მისასელელების გახსნის შემდგომ, ამ ლექსის შინაარსის და სიტყვაკაზმულობის ტაქპობრივ განხილვას ვიწყებ, რათა სტრუქტურული, სისტემურ-უუნგურური ანალიზით ვცალ სოფოკლეს მოხმობის აზრის და მნიშვნელობის ამოხსნა. ამ ხოტბის პირველი ტაქპი ეს არის:

გვიან შენებრი ძებნანი  
ჩენისა ხასლთა შეხსნანი

ჩახრუხაძე ამ ლექსით ამბობს: ხანდაზმით (თამარ მეფეო) შენებრო (შენს მხგავსის) ძებნანი გვანან რკინის ქალაწების ამოხსმას.

პირველ ყოვლისა ამ ლექსშიც, ისე როგორც ხოტბათა მთელ კრებულში აღრეხსატი ამოიცონა: შენებრთა – ეს, რახაციკორველია, თამარ მეფეა. ამით წარმოჩენილია ამ ლექსის ბირთვი, რაც ყოველ ტაქპში მთავრობს, თავის გარშემო გარემოცველ გარსებს იკრებს მოხმობილი პერსონაჟების, მათი საქმიანობის დახასიათებით, რაც უორმის შიმართებით გამოთლიანებულია რითმით „შესხმანი“. ეს რითმი – „შესხმანი“, ფორმალურ-ტექნიკურ დეტალზე მეტია,

რამდენადაც დაკავშირებულია ლექსის ბირთვოან, მასთან შესისხლხორცებულია და მთლიანობაში იკითხება, როგორც გვირგვინოსანის ქებათა-ქება.

თამარ მეფის მსგავსი სახეების ხანგრძლივად ძებნას განსაკუთრებული მნიშვნელობა ეძღვევა, რამდენადაც მსგავსისადმი წვდომისათვის გაჭრა უაღრესად მასშტაბურია და დიდად გახაჭირი, თითქმის შეუძლებელი, ამის გამომარობით აუცილებელია რკინის ხამლთა (ქალამნების) ამოსხმა —ჩაცმა.

„რკინის ქალამნები“ — ეს ფუძესახილველისეულია, მითოლოგიურ-ზღაპრული მოტივია, ქართული ხალხური შემოქმედების წიალიდან არის მოხმობილი, კავითხენით ილა ჭავჭავაძის მოთხოვიდან ოთარაანთ ქერივის ქადილი: „თუ გაჭირდა რკინის ქალამნებს ჩავიცვამ, რკინის ჯოხს ავიღებ ხელში და ხელშიიუემდე ვივლი“.

მეხოტებმ დროსა და „სივრცის დაუნჯებით“ ქვეყანა უნდა აიარ-დაიაროს ღვთაებრივის მსგავსი სახით, ან ღვთაებრივის ღირსი და შესაფერი მეზოტის ძიებაში, და ამიტომ აუცილებელი ზდება „რკინის ხამლთა შესხმანი“.

იერარქიული სქემით ეს — ზემოულ-შეცხადება, ამოშრდილია დამატებული ღვთაებელი ქვემოურის ამონაკვნესიდან: „ვერცა დამეტებს სოფოკლი, არა თუ ჩემი შესხმანი“, და ეს ფუძისა და მწვერვალის ერთმანეთთან მისწრაფება და მიახლოება პქმნის ოდის მომრგვალებულ მთლიანობას.

ახლა ვიკითხოთ „რკინისა ხამლთა ამოსხმით“ ძიების გზა-კვალი და ეთნოკური მიმართება. „თამარიანის“ ოცდამეთვრამეტე სტროფი გვამცნობს: „ელენთა შვილნი, ელადს სწავლულნი ენამზეობდეს სიტყვითა რჩევად“, — გახაგებად, გამოყოფილია „ელენთა შვილნი“, ხოლო ამათგან განსხვავებულნი, რომელნიც არ არიან ელენთა შვილნი, მაგრამ ელადაში მიუღიათ სწავლა, იგულისხმება, რომ არიან ქართველები და ამის ნათელსაყოფად, ჩვენ მიერ განსახილველად შერჩეული ხოტბის მეორეტაები გვამცნობს:

შენოის ხმდა არისტოტელი  
დიონოს წიგნთა შესხმანი.

აქ დაწყვილებულია „ელენთა შვილი“ არისტოტელი და „ელადს სწავლილი“

უფლისტირის თეატრი (ელინისტური ხანა. რეკონსტრუქცია)



ქართველი პეტრე იბერიელი,<sup>\*</sup> ესენი არიან მიჩნეული იმის ღირსად და შესაცერისად, რომ ქებით ადიდონ თამარ მეუე. ჩვენი ოდის მეორე ტაქპის სრული მნიშვნელობის გახაგბად გავიჩინონთ ჩახრუხაძის ხოტბათა ქრისტიანის შესავალი სტროფი „მო, ფილოსოფობნო, სიტყვისა არხნო, თამარს ვაკებდეთ გულისხმიერსა“ (1-1), და თამარის საქებარად მოხმობილ ფილოსოფოსთა შორის პირველ რიგში დასახლებულია ელადს სწავლული ქართველი პეტრე იბერიელი, რომელიც ამ დროს, აკად. შ. ნუცუბაძის და პეტრე იბერიელის შორიშების გამომცემელ ს. ენუქაშვილის შეხედულებით, შეფარვით ისევ დიონისიოდ იწოდებოდა. „ელადს სწავლული“ პეტრე იბერიელის თან მიყოლებით მოხმობილი არიან „ელენო შვილნი“: სოფრატე, უმიროს, პლატონ და, განხატურებით, არისტოტელი.

მეოთხმეტე ხოტბაში არისტოტელეს და პეტრე იბერიელის (დიონოსის) დაწყვილება, თამარ მეფის ქების ღირსშესაფერისობით, უკავშირდება და ვარალელება ამავე ოდის დამაბოლებულ ტაქპს სოფოკლეს და ჩახრუხაძის და-

\* დიონის—ფსევდო-დიონისე არქოპაგელი, შ. ნუცუბაძის და პეტრე პეტრიშვილის გამოცემებით, პეტრე იბერიელია. ამის საწინააღმდეგო შეხედულებისც არსებობს, მაგრამ ჩეკონ შ. ნუცუბაძესა და პ. პეტრიშვილის კრწუნებით.

ძირი (ჭალთა ფერხული. მცხეთა, სკრტიცხვლის ტაძრის ფრესკა XIV ს. გადმოიღო მხატვარმა გ. შევიაჯოვამ)

წყვილებას თამარის ქებისათვის — ეპიფანია იერარქიული სქემით ქვემოური ზუმერე ევლინება ზემოურს.

ეს ზოგადად, ახლა უფრო ხელშესახვად. არისტოტელემ განათლებულ ხელისუფალს ერმიას მიუძღვნა საკულტო პიმის ფორმით დაწერილი ლექსი, რა-მაც ჩვენს დრომდე მოაღწია (უ. გაირი, ბერძენი ფილოსოფოსები, 1983, გვ. 126).

რაც შეეხება პეტრე იბერიელის (დიონოსი), ის თავის წიგნებში გამუდმებით ერთის (ღმერთის) ქებათა-ქებაშია და თანაც მთელი მოძღვრება პქრნდა შემუშავებული, თუ როგორ უნდა წარიმართოს „ქებათ-მეტყველება“: იგი შეწყობილი უნდა იყოს გაღინძასთან — ერთხმიბით, ქებათმეტყველებამ და გაღინძე ერთხრახვობაა და მწყობრის (ქოროს — დ. ჯ.) შემოკლებულ და ანრდილოვნებით ერთის (ღმერთის) დიდებაა (იხ. პეტრე იბერიელის შორიშები, ეურემ მცირეს თარგმანი, ენუქაშვილის გამოც. გვ. 179). ამდენად, პეტრე იბერიელის (დიონოსის) წიგნთა შესხმნი ავტორის არისტოტელთან დაწყვილებით მიჩნევა თამარის ქება-შემკობის შესაფერისად სრულიად გამართლებულია.

გადავდივარ მესამე ტაქპზე:

მსგავსად აქილეა-ტროვლთა  
შმიროხისგან შეხსნან.

თამარიანში, როგორც ვთქვით, პომირის ხუთჯერ არის ნახენები, პომი-



რომ მიეწერება ძალა, რომ მისმა სიტყვაშ „გულა უგმიროს“, ის ჩახრუხაძის ლექსით მოწოდებულია ძნობაში (საუკრაშლი ქებაში) თამარის „მსგავსების დახახახავად“ (VII-54) — ამისგა ძიხედეთ, ნათქვამია „მსგავსად აქიდევზტროელთა უძიროსისგან შესხმანი“. ერთი სიტყვით, ჩახრუხაძე იმ აზრისაა, რომ თამარ მეფის შემკობა შექებისათვის პირიროსის რინგის შემოქმედია ძოსახმძინი.

ამ მესამე ტაეპიდან გადასვლაა მეოთხე დამაბოლოებულ ტაეპზე, რომელშიაც ერთად მოხსენებულია სოფოკლე და ხოტბის ავტორი ჩახრუხაძე. ეს გადასვლა პიმიროსიდან სოფოკლეზე სრულიად გამართლებულია, რამდენადც როგორც ცნობილია, „ილიადას“ და „ოდისეის“ ქარგაზე სოფოკლეს 4 ტრაგედია შეუქმნია, ხოლო პოსტ-პომიროსული ეპოსის საფუძველზე — 36 ტრაგედიის ავტორი იყო (გრ. ორχესტრი). ანტიკურ ხანაში სოფოკლეს ტრაგედიის პომიროსად მოიხსენიებდნენ, ხოლო თვით პომიროსს — ეპიკურ ხოსულებდ, ციცერონმაც პომიროსს გვირდში ამოუყენა სოფოკლე (ორატორი I, 4).

ხოტბის მეოთხე ტაეპის განშარტების ცდა, მეოთხე ტაეპი ასე იყიდთხება:

ვერც დაშეტყბის სოფოკლი

არ თუ ჩემი შეხმანი.

ჩახრუხაძე თავის თავს მოიხსენიებს სოფოკლესთან ერთად, ერთობლივია მათი ქმედება, სოფოკლე თავის შემოქმედებით და ჩახრუხაძე თავის აზმანით (ქებით) იგულისხმებიან, როგორც თამარის შემაძლებელ გროსანთა წყვილი.

შეხოტბე ჩახრუხაძემ „რკანის ხამლთა“ ამოსხმით ქვეყანა მოიარა, მიაკითხა არისტოტელებს, პეტრე იძერიელს (დიონოსის), პომეროსსაც კი, დაბოლოს, სოფოკლეზე შეჩერდა, თავის თავიც არ დაიკიწყა, ბერძენ ტრაგიკოსთან დაწყვილებით წარმოგვიდგა, მაგრამ თამარის შესაფერის და ღირსების მოპოვებას ამანაც ვერ უშველა, და ხოტბა ასეთი შეცხადებით მთავრდება: „ვერც დამეტებს სოფოკლი, არ თუ ჩემი შეხმანი“.

სოფოკლეს და ჩახრუხაძის ამ ერთობლივი „შესხმანის“ განსამარტივდებულ მიემართავ შავთელის დავით აღმაშენებლისადმი ქებად ნათქვამს „მ.ჩ.ნ.ა.რ გიცნობს, ოქრო-ხმად გიცნობს ივ ლოდამვილის გამოც. 25-3). რაც ასე ამოვიციანით მეოთომეტე საუკუნეში, წარმოუდგენიათ მენანდრეს კომედია „სამედიატორო სასამართლო“, ქართული ძნობის (ფერხულის) გამოსილებით დავით აღმაშენებლის ქება-შესხმადიდებით (იბ. ჩემი ნარგვევი უურნ. „ხელოვნება“, 1991, № 5). ამის მაგავად, ხავარაუდებელია თამარის სადიდებლად სოფოკლეს ტრაგედიის წარმოდგენა, რომელშიაც ქოროს გამოსკლების ნაცვლად, ჩახრუხაძეს ჩაურთავს თავის ქებანი თამარისი. რაც შეხრულებული იქნებოდა ძნობით (ქართული ფერხულის სახელწოდებით), ბერძნულ ტრაგედიების ქართული ფერხულების ჩართულობით „ო-ტრადოლუ“, „ტრალოლუ-მან“, სატრალებით მნიშვნელობით.

საკითხი წამოიჭრება, რამდენად შესაძლებელი იყო, რომ ტრაგედიის შინაარსის დაუზიანებლად, ქოროების გამოხველების ტექსტი შეცვლილი კოფილი ჩახრუხაძის ქების შემსრულებელი ძნობის (ფერხულების) სიმღერებით? როგორც პროფ. გ. წერეთელი სოფოკლეს ქოროების განხილვისას დასკვნიდა, ქოროების სიმღერები შემოკლებულია არა მარტო ზომით, ქორომოქმედების გარეშე იდგა, მის წინაშე მომზღვარის შემფასებელი იყო, განყვებული მსაჯული („ბერძნული ლიტერატურის ისტორია“, ტ. II, გვ. 131). ანტიკური მწერლობის შეკლევარი ა. ბერტი ამაზე უფრო შორს მიდის, როდენაც აცხადებს: თუ ქოროს სიმღერების გამოკლებით წავიკითხავთ სოფოკლეს ტრაგედიას, მისი არის მაინც ნათელი რჩება („ბერძნული ლიტერატურის ისტორია“, (რუსულ ენაზე), მ-ლ. 1940, ტ. I, გვ. 373). აი, სწორედ ეს გარემოება, ქოროს მნიშვნელობის გაქარწყლება სოფოკლეს ტრაგედიაში და ქართული



თამარ მეფე (ვარძის ფრესკა, XII ს.)

ტრადიცია, შორეული წარსულიდან მომდინარე, ბერძნულ ტრაგედიებში ქართული ფერხულის ჩართვისა, შესაძლებელს ხდის ვივარაულოთ, რომ სოფოკლეს ტრაგედიადან ამოღლოთ ქოროს სიმღერები (ამით ტრაგედიის შინაარსს არაფერი დაუშავდებოდა) და ნაცვლად ჩაერთოთ ჩახრუხაძის ქება თამარისა, ქართული ძნობის (ფერხულის) შესრულებით.

ჩახრუხაძე რომ თვით გამოღლივდა თავის ქების შემსრულებლად, ეს ივანე ჯავახიშვილს უკვე პქრინდა შენიშვნული: „გავიხსნოთ ჩახრუხაძის შესხანა, რომლითაც ავტორი მეფეს დარბაზობის დრის უგიოთხავდა“ („ქართული სამართლის ისტორია“, წ. II, ნაკვ. 2, გვ. 189).

თვით ჩახრუხაძე არაერთხელ აღნიშნავს თავის ოდებში, რომ ის, როგორც მეხოტტე, საჯაროდ გამოღლივდა ძნობით (ფერხულით): „მწადარე ძნობა, კოცლად განაბრძნობა, სამუსიკო შენსახამისად“ (77-14), ან „თამარ! შენ გიბნობ, ახულად გიცხობ – მზე დაუვალი შუქმომფინარი“ (21-1). ამისგან მიხედვით აღბათ, ჩახრუხაძე თვით უპირობდა (ლოტბარიბდა) ქების სიმღერით შესრულებას, ხაგალობელთა და ძნობათა წინ უძლიერი ხმითა“ (ხაბა).

განსახილეველ ტაქტებში ჩახრუხაძე ხიფოკლეს მოღვენებით, მის გვერდი-გვერდ იხსენიება, რაც მათ ერთობლივ ქმედებაზე მიგვათითებს. ხიფოკლე და ჩახრუხაძე ქართველი კვირგვინოსანის

ქება-შესწა-დადებისათვის არიან და  
წყვილებული.


ქართულ სახილგვში (თვატრში) უნდა წარმოედგინათ ხოფოკლეს ის ტრაგედია, რაც ჰომიროსის, ან პოსტ-ჰიმიროსულ ნაწარმოებთა ქარგზე იყო ძეგბული და თანაც რაღაც მსგავსებით ეწმიანებოდა, გაიღოვანებოდა თამარის პიროვნებას. ასეთ ტრაგედიალ შეიძლება დაგხახელოთ სოფოკლეს „ელემტრა“-ტრაგედია „ილიადას“ გმრიალ აგამენონის ქალიშვილზე შეთხხული. ეს ტრაგედია თამარის შეკრობის ექმიანება უკვე იმით, რომ მისი გმრიალ აგმეფი თვალით და ამასთან ქალია. ელემტრა თავის სახითოთ და ქმედობის რაღაც თვასებით კიდეც ემსგავსება თამარ მეფეს და კიდეც განსხვავდება მისგან. ისე რომ, სოფოკლეს ამ ტრაგედიის თამარ შეფის ქებასთანაც ერთობლივ შეხრულება თანახომიერებაც არის და ძკვეტოდ გამოიხატული დაპირისპირიებაც. წარმოსალგრძნად „ელემტრას“ შერჩევას, ალბათ, ისიც ხელს უძართავა, რომ საქართველოში ამ ტრაგედიას, ძველთაგანვე იცხობდნენ, მისი ხელნაწერი ნუსხა ხომ ათონის ქართველობისათვის წიგნსაცავში ინახებოდა და ქართულ სამონასტრო სკოლებში, კვალისტრების სახით, ალბათ, წარმოადგინდნენ კიდეც.

საგულისხმებელია, რომ სოფოკლეს  
ტრაგედია „ელევტრა“ XII საუკუნის  
ქართული სახილველის მაყურებელთა  
მიერ თანამედროვეებისათვის დიდად  
მნიშვნელოვან ნიწარმოებად აღიძმებო-  
და, რამდენადც თავისი შინაარსით ეპა-  
რალებოდნდა, ემსგავსებოდა იმ შავებ-  
დით ამბებს, რაც დემეტრე პირველის,  
დავით მეტეორეს და გიორგი მესამის მე-  
ფიობაში იყო დატრიიალუბული.

დემეტრე მეფეს, დიდგვაროვან დი-  
დებულთა მხარდაჭერით, ტახტს ცი-  
ლება მისი ძმა ვახტანგი. დემეტრემ ეს  
შეთქმულება მოიგვრია, ვახტანგი შეიძ-  
ყრო, მას თვალები დათხარეს, შეთქმუ-  
ლების მეთაურის, ივანე აბულევთის ძეს  
თავი მოძევეოთს. შეფოთი და ამბობის  
ამით არ დამთავრებულა. ამის შემდეგ  
დემეტრე მეფეს, ისევ დიდგვაროვან დი-

დებულთა შპარდაქურით, ებრძევის მიხა-  
ვი ვაჟიშვილი დავითი, რამდნადაც შემოგვა-  
უე უპირატესიძას ვაჟიშვილს გიორგის  
ანიჭებდა. დავითი მძმის აუკანებდა, გა-  
მარჯვა და გმეფედ კიდევ. მისი მამა –  
დემეტრე იძულებული გახდა ბერად აღ-  
კვეცილიყო. ბრძოლა ამხედვადაც ამით  
არ დამტავრებულა. დავითი შხვლილ  
ექვსი თვე იძება. ის ერტობა მოკლეს.  
დემეტრე ისევ ძევიბას შეუძგა და თვა-  
ოვე აკერთობა მეფედ გიორგი. დაღდვა-  
როვანი უფრდალები ახლა მეფე გიორგი  
მესამის წინააღმდეგ შეითქნენ, განიხ-  
რახეს დავითის შვილის, უფლისწულ  
დემნას სახეელ ტახტზე აყვანა, დოდი  
აჯანყებაც მოაწყვეს. გიორგი მესამეს  
დაპატიმრებას და ტახტიდან ჩამოგდე-  
ბას უპირებდნენ, მაგრამ მეფემ იმარჯვა,  
მოასწრო მაღლების შეკრება და აჯანყე-  
ბული დაამარცხა. უფლისწულ დემნას  
და აჯანყებულთა მეთოურის ხისტიფლ და  
ულმობლად გაუსწორდნენ. დემნას თვა-  
ლები დათხარეს, დაასახურისეს და წა-  
მებაში ხული ამოხალებ. აჯანყების მე-  
თოურს, ივანე თრბელხაც თვალები და-  
თხარეს, ხოლო მისი ძმა და მისისწულები  
სიკვდილით დახაჯეს, ზოგს კი გაძე-  
ვება აქმარეს (ივ. ჯავახიშვილი, ქართ-  
ველი ერის ისტორია, ტ. II, 1948, გვ.  
223-241; მ. ლორთქისანიძე, საქართვე-  
ლოს საგარეო და საშინაო ვითარება  
XII ს. მეორე საუკუნის მეოთხედიდან  
80-იანი წლების დასაწყისამდე, „საქარ-  
თველოს ისტორიის ნარკვევები“, ტ. III  
გვ. 284-295).

სოფოკლეს ტრაგედია „ელექტრა“ ეხმიანებოდა, მხარს უძამდა ქართველი გვირგვინოსანის ქებათა-ქებას იმ მხრივაც, რომ „ელექტრას“ დრამა კანონიერების, სახელმწიფო უცხოებრივი წესრიგის დაცვის, სამართლიანობის, მშვიდობის განმტკიცების საზოგადოებრივ მისწრაფებას გამოიხატავდა და ერთპიროვნული ხელისუფლების დარით კურთხეულობის იღეას ემსახურებოდა. სოფოკლეს „ელექტრა“ ქართული სახილევლისათვის შერჩეული იქნებოდა ტრაგედიის მთავარი გმირი ქალის თამარ მეფესთან „მსგავსების დასახავად“ (51-55). ჩახრუბაძე აიძრობდა, აობათ, რომ ელექტ



ჩიხლაძე

აუტო წილადი ქადაგება

ტრა სოფორებმ „დახახა ხახებრ (თამარისა) მსგავსი პოენებად“ (25-3).

თამარი ჩახრუხაძის ხეტბით, ეღუმური, ზეციური ხახება: „მე რომ აქვთ გნახე, ედემის ხახე, მართ ხამითხისა მასხლებელად“ (85-2). ჩახრუხაძის ქაბაში თამარის ხახე მითოლიგიურ გამზრებაშია, ახტრალურ წიაღს მიკამურებები. აკი მეხეოტბე შეუექალს ასე მიმართავს: „სახედ გსახიძლებს რა მჩე სათობლებს“ (86-26). ამიტომაც არას თამარ უკუნი ქაბარმიუწვდომელი. მე-ზოტბე უკმდადადებს გაირგვინისხნეს „მპოვნოს მცდარად და ვარ მიმხედარად შეხი მსახუების დახახახაფად“ (51-55) ეს არქეო სოფორებმ „მიმართ, მაგრამ ჩახრუხაძეს ჩნიობათის ერთად, არ ი თავისი თავი ეხიტება: „ეპრეცა შეგავხად ვერ გმილიდებს გაგსებად“ (38-4) და ამის დაშია მეხეოტბის გვლის მიმართ გამოიყენება დამიყოს თავ-თავისი მამით — თამარი ქალიშვილია გმირი მეფის გაორგე მესამის აკ. ხამფო ხახლის გადლებზე გიმოხატულია „მძლეო მძლეულების სკო უძლეველის“ ხაქ-შენი ხიდმირინი, ფრესკებზე თვით გი-ორგე მესამე „ტანით გორგაბლაბითა, მკლავთა აქილასითა“ (აქილევსინიანია) იმადებები („ქართლის ცხოვრება“, რ. II, გვ. 25, ქრ. შარაშიძე, ხაერთ ქვედის მხატვრისა, XIII ხაუგუნის ხადიროვლოში, „მაცნე“, 1966, № 5, გვ. 164). ელექტრია ქალიშვილია გმირი მეფის აგამენიონის—ელექტრაგიან უმამაცესის („ელექტრია“, სტრ. 354-355).

ჩემი შესხმანი“ (79-4). და მაინც ხაჯი-ოსაქებს რა გამოლებებს რაშია ხახლელობრ თამარის და ელექტრის მსგავსება? — უძარველებებს ფრედისა, ისინა ერთმანეთს ემსგავსებიან თავის წარმომავლობით, თრთავებს შეიძლება იამყოს თავ-თავისი მამით — თამარი ქალიშვილია გმირი მეფის გაორგე მესამის აკ. ხამფო ხახლის გადლებზე გიმოხატულია „მძლეო მძლეულების სკო უძლეველის“ ხაქ-შენი ხიდმირინი, ფრესკებზე თვით გი-ორგე მესამე „ტანით გორგაბლაბითა, მკლავთა აქილასითა“ (აქილევსინიანია) იმადებები („ქართლის ცხოვრება“, რ. II, გვ. 25, ქრ. შარაშიძე, ხაერთ ქვედის მხატვრისა, XIII ხაუგუნის ხადიროვლოში, „მაცნე“, 1966, № 5, გვ. 164). ელექტრია ქალიშვილია გმირი მეფის აგამენიონის—ელექტრაგიან უმამაცესის („ელექტრია“, სტრ. 354-355).

თრთავე. — თამარიც და ელექტრიც.



ხასიათდებიან მამისადმი უზადო ერთგულებით, მათი ხსოვნისადმი ღრმა პატივისცემით. ჩაბრუხაძე თამარ მეფეს მიიჩნევს გიორგი მესამის ღირსეულ შეკეთდრედ, მისი მტერზე ძლევათმოსილების გამგრძელებელ ხაჭეთმქრიობლად: „თანაგანწყობად მისად, ხწორად პამისად“ (74-2), „მჯობი გოვლისა მხენესა მამისად“ (75-8). ელექტრა ამბობს, რომ ჰეკაშეშლილი უნდა იყოს ის, ვინც „ივოწყებს დაღუპულ მშობელს“ (ხტრ. 142-143). ელექტრა ამაყობს იმით, რომ უმამაცესა აგამემნონის ქალიშვილია.

ეს რაც შეეხება მსგავსებას, მაგრამ უნდა ითქვას მათ ხხვილიაზედაც. ჩაბრუხაძის მნიშვნელობით ქება ხოფოკლეს ელექტრის მიმართ საბირისპიროც იყო, რამდენადაც „იპოვნენ მცდარად და ვერ მიმხვდარად“ თამარის „მსგავსების დასასახავად“ (51-55). ელექტრა, თუმცა მსგავსად თამარისა როგორისადმი მტკიცებ შეურიგებელია, მაგრამ თამარ მაინც სხვა — „ექრ მიმხვდარან თამარის მსგავსების „დასასახავად“. ელექტრა შეურისმაძიებელია, სისხლის ამღებია, სიკვდილით დასჯის წამეჭხებელია. აკი მამისმკვდელს რომ უსწორდება ორესტე, ელექტრა მას შესძლებას: „ძალა შეგწევდეს განმეორებით დაკარ“ (1389); თამარი, ელექტრას საბირისპიროდ დაძარაშვის სიკვდილით დასჯის, ასთამოღების (ენის, ცხვირის, ხელუების მოკვეთის, თვალების დათხრის), ტანჯ-განაგის დაკვირის მოწინააღმდეგეა, აკი „ისტორიანი და აზმანის“ ავტორი გვამცნობს, რომ თამარ მეფეებ „არცა განჯგა-ხაგი უბრძანა ვისაღე კვრად, კიდე მქონებელი მესისხლეობისა და ასოთ მიღებისა“. იყ. ჯავახიშვილის დასსიათებით თამარ მეფეს „ჰირივით ეკავრებოდა და ეზიაზლებოდა სიკვდილით დასჯა და სხვადასხვა დამასახიჩრებელი სასჯელები... რაკი კანონით, ყოველთვის, როდესაც დამნაშავე სიკვდილით ან თვალდაბეჭდებით, ასთამოღებით უნდა დასჯოდის მეფის თანხმობა და დამტკიცება იყო საჭირო, თამარ მეფე ამ თავის უფლებით სარგებლობდა, სახამართლოს განაჩენს „მოწყალებით“ არ ამტკიცებ-

და და ამ გზით ყველა ამგვარი ხასჯელი გააუქმდა და მოსპონ“. (ივ. ჯავახიშვილის ქართველი ერის ისტორია, ტ. II, 1948, გვ. 293-294).

ჩაბრუხაძე, ხოფოკლეს ელექტრას საპირისოსი, თამარ მეფეს ასეთი ლექსით შეაქმნა: „მაღალი, დიდი, უკლები, მშვიდი, წრფელი“ (96-8). ან „ჯავარ მოცალე, ტებილი მოწყალე ყოველთა კაცთა განურისხებლად“ (97-9), „მტკიცედ აქვს ხჯული, ჩან მართლ-მსაჯული, მას რომ უხმობენ დევოს ხახიერსა“ (111-143).

ამგვარად, ხოფოკლეს ტრაგედიის წარმოდგენაში, ჩაბრუხაძის მიერ თამარ მეფის ქება ელექტრასთან დაპირისპირებით უფრო აღიქმებოდა და ამიტომაც, ითქმოდა რომ „ვერცა დამეტებს ხოფოკლია“-ო, და რომ ეს განაჩენა რამდენადმე შეთბილებულიყო, თავის შესხანიც ქებათმიუწველომლად მოიხსენია.

ახლა კი თავს ნებას მივცემ, იგივე კავიძეორო, რაც მენანდრეს კომედიის წარმოდგენასთან დაკავშირებითი ითქვა: ბიზანტიაში, მეზობელ სომხეთშიც შუა საუკუნეებში თეატრები არსებობდნენ და ძველბერძნულ ტრაგედიებს წარმოადგენდნენ. ისე, რომ ანაქრინიზმად არ ჩათვლება ხოფოკლეს ტრაგედიის წარმოდგენა, ქართული ძნობის ჩართვით, მივაკუთხოოთ XII საუკუნეს და ამგვარად ამოცხსნათ ჩაბრუხაძის ლექსი.

მეთორმეტე საუკუნის მეხოტებ-მგოსნების შეაფელის და ჩაბრუხაძის ლექსების მინიშნებათა მიხევდორით, გარაუდების დაშვებით, წარმოიქმნა პიძოთება თამარის ეპოქაში ძველბერძნული ტრაგედიების და კომედიების წარმოდგენისა, ქართველ მეფეთა შესხმა-ხოტბა-დიდებით, რის შემსრულებელი უნდა ყოფილიყო, ბერძნული ქოროს შენაცვლებით, ქართული ძნობა (ფერხული). ეს არც ისე საოცარი და მოულოდნებლი უნდა იყოს. მხედველობაშია მისაღები, რომ ქართული რენესანსის ვითარებაში, ანტიკურობან ერთად, ფუძესახილველი-სეული ქართველური ტრადიციების რებილიტაციას და რესტავრაციას ფართო გასაქანი მიუცა, რაც სრულიად კანონობრივი განვითარების მოვლენად იაზ-



რება. გავიხსენოთ, რომ „მხეგვად აქილეს-ტროედთა უმიროსისგან შესხმანი“—სა, რუსთაველის ტარიელს „ტანს კაბა ემოსა გარე-თმა ვეფხის ტყავისა“, როგორც ეს მითითებულია მიხაკო წერტლის, ხიმონ ჯანმას, თამაზ გმეყულიძის, ვაიჩესლავ ივანოვის შრომებით, ვეფხისტყოსნობა დასაბამს პოულობს ძველი აღმოსავლეთის ცივილიზაციებში, შემცრების და ხეთების სამყაროში. ქართული „მხრიბის“ (ფერხულის) და ტყავისნობის (ნიღბისნობის) ჰულტურა, თუ აბლით არა, შორეულ ნათეხსობაში ძაინც არის შუამდინარეთის მითილოგიურ-რიტუალურ საწყისებთან და ამდენად, ყოველი ახალი ფაქტი, თუგინდ ძველტრონულზე გამოიტარებით, გვაახლოებს ქართული ეთნოსის ძირის აღმოჩენასთან, რაც, როგორც სპეციალისტები აღნიშნავენ მოსალოდნელი და შესაძლებელია შუმერთა წარმოშობის საკითხის საბოლოო გარკვევასა და ეს გადაწყვეტასთან დაკავშირებით.

ყოველივე ამასთან ერთად, ხმის ამაღლებით ესეც უნდა ითქვას: ისტორიკოზი თავისი დროის შვილია, რაც არ უნდა ღრმად იძირებოდეს წარსულის საკულევად, მას მაინც თანამედროვეობაზე უჭირავს თვალი. წინაპართა ძნელებლობაში მოპოვებული მირველი, — სინათლეზე გამოტანილი სადღეისთვის უნდა იყოს მოსახმარი, სამერმისისაც პირნათლიერად გზის გამკვლევი.

ამ აზრით არის ეს ციირ ნარკვევი დაწირილი, სრულიადაც იმიტომ არა, რომ თავის ქადილად ჩაგვეთვალოს: „რანი ვიყვათოთ გუშინ“, არამედ იმისათვის, რომ თანამედროვე მშობლიური თეატრისათვის, ეროვნული სახიერების ძიება-აღღებენაში, იქნებ გამრსაცხენებელი იყოს აქ წარმოჩენილი გამოცდილება ძველბრძნული ტრაგედიების ზოგად მარადიულთან ეროვნულის, საჭიროობრივის შერწყმა, უცხოური ქორების ნაცელად, ტრაგედიის შესრულებაში ქართული ფერხულების ჩართვა, მათთვის გამკვლევა გამომსახველობის სრული გამოვლენით.

502 წლიდან იღმოსავლეთში კვლავ განაახლეს ბრძოლა სპარსელებმა. ევროპაში, დუნის სამხრეთით, დაიწყო სლავებისა და ხუნძების შემოსევა. შენააშლილობამ უკიდურეს ზღვის მიაღწია. დედაქალაქის ღამშოთებდა ცირკუს პარტიებს — შეცნებებისა და ლურჯების შეტოვება. ომით გამოაგებული, ხარკის სიმძიმით წელში გაწყვეტილი და უქმაყოფილო პროვინციები ნებისმიერ საბამს ეცებდნენ, რათა იმპერიისათვის თავიანთი მოთხოვნები წაეყენებინათ. ხელისუფლების ხალხის მხარე დაჭრება ყვლდა. ძლიერი მართლზადი დებლური ოპოზიცია, რომელიც თავის პოლიტიკის განხორციელებისათვის იბრძოდა. პატივმოყვარე ავანტურისტებს ნაირნაირ საბამს სთავაზობდა ასამბოხებლად, განსაკუთრებით საშიში იყო ვიტალიანეს ამბოხება (514 წ.). დაბოლოს, რომაული ტრადიციის უჭირები ხსოვნა, გამუღმებით რომ ასაზრი დოებდა რომაული სამყაროს — „რომანიის“ აუცილებელი ერთიანობის იდეას, დასავლეთისაცენ მიიქცევდა პოლიტიკურ აზრს.

ამ არამყარი მდგომარეობიდან თავის დასაღწევად საკირო იყო ძლიერი ხელი, მექანიკ ჩამოყალიბებული და მექანიკ მიზანდასახული პოლიტიკა. ამნაირი პოლიტიკის განმახორციელებლად იმპერიას იუსტიციანე მოევლინა.

## თავი II

იუსტიციანეს შპართვილობა და ბიზანტიის იმპერია VI საუცხვეში (518—610)

- I. იუსტიციანეს დინასტიის დასაბამი.
- II. იუსტიციანეს ხასიათი, მისი პოლიტიკა და გარემოცვა. — III. იუსტიციანეს საგარეო პოლიტიკა. — IV. იუსტიციანეს შინა მშართველობა. — V. ბიზანტიური ცივილიზაცია II საუკუნეში. — VI. იუსტიციანეს საქმის იარყოფა (565—610 წ.).